საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-7/532
12/09/2019

532-შ-19-1-4-201909121550

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 11 მაისის № 298/7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ მოქალაქე ავთანდილ ჯიქიამ კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-7/3462, 21.08.19) რადიოსადგურის განთავსების ადგილის შეცვლის თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2016 წლის 11 მაისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება № 298/7 რადიომოყვარულ ავთანდილ ჯიქიასთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭების შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში რადიოსადგურის განთავსების ადგილი მითითებულია ქ. თბილისი, მე-3 მასივი, კალაუბნის ქ. 38-ე კორპუსი. მოქალაქე ავთანდილ ჯიქია ითხოვს მისამართის ცვლილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2016 წლის 11 მაისის № 298/7 გადაწყვეტილებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ ავთანდილ ჯიქიას სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისათვის დანართში (თან ერთვის) მითითებული სიხშირული დიაპაზონები და სახმობი ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად 5 წლის ვადით:

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ნებართვის N	რადიოსადგურის მფლობელი	რადიოსადგურის განთავსების ადგილი	სახმობი	კატეგორია
A - 047	საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგა	მცხეთა, სოფელი ზაქარო	4L1HQ	„A“

2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგისთვის გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) საქართველოს რადიომოყვარულთა ლიგისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

4.კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციის და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე

კომისიის წევრი